დაევალოს 15 სამუშაო დღის განმავლობაში
მოამზადოს პასუხი
17.02.2020

სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის
დირექტორს, პროფესორ ნიკოლოზ ჩიხრაძეს

ინსტიტუტის იურისტის,
გიორგი ქართველიშვილის

მოხსენებითი ბარათი

როგორც მოგეხსენებათ, შპს „გეოფონმა“ (ს/კ: 204858859), ინსტიტუტის 2019 წლის 15 მაისის და 16 ივლისის წერილების პასუხად, მისი შემსრულებელი დირექტორის ნათელა ფალავანდიშვილის 2019 წლის 26 სექტემბრის წერილით უარი განაცხადა შეესრულებინა ინსტიტუტის მოთხოვნა და წარმოედგინა შპს „გეოფონის“ და მისი ფილიალების ყოველწლიური სრული ფინანსური ანგარიშები დაარსებიდან დღემდე.

იქიდან გამომდინარე, რომ ინსტიტუტი არამარტო უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა მიიღოს სრული და ყოვლისმომცველი ინფორმაცია აღნიშნულ შპს-სთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ფინანსურ ნაწილში, რათა შემდეგ განისაზღვროს შპს „გეოფონის“ დაარსებიდან დღემდე რა უნდა მიეღო ინსტიტუტს (ანუ სახელმწიფოს) და შემდეგ რა უნდა გაკეთდეს ინსტიტუტის მხრიდან აღნიშნულ შპს-სთან მიმართებაში, მომზადებული იქნა სარჩელი სასამართლოში წარსადგენად, რათა სასამართლოს ძალით იქნას უზრუნველყოფილი შპს „გეოფონის“ მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულება.

გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად პირველი ინსტანციის სასამართლოში (ამ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლო) სარჩელი შეტანისთვის სახელმწიფო ბაჟი შეადგენს 100,00 (ასი) ლარს.

ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სახელმწიფო ბაჟი გადაიხდება სარჩელის შეტანამდე და გადახდის დამდასტურებელი დოკუმენტი წარედგინება სასამართლოს სარჩელის შეტანისას.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილი უნდა იქნას დანართში წარმოდგენილი რეკვიზიტების შესაბამისად. დანიშნულება - **სარჩელი სამოქალაქო საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში - მოპასუხე: შპს „გეოფონი“ (ს/კ: 204858859).**

გთხოვთ სათანადო განკარგულებას.

LEPL Grigol Tsulukidze Mining Institute

Digitally signed by LEPL Grigol Tsulukidze Mining Institute
DN: cn=LEPL Grigol Tsulukidze Mining Institute, 2.5.4.97=NTRGE-204862247, o=LEPL Grigol Tsulukidze Mining Institute, c=GE
Date: 2020.02.17 17:33:57 +04'00'

17.02.2020 წ.

სამთო ინსტიტუტი
17 02 2020 წ.
№ 170